ი/მ "რევაზ მახვილაძე, მშენკონომეფექტი, დაპროექტება, ექსპერტიზა"

ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ. მე-6 კორპ. ბ.14

ტ. 593 25-19-71 232–88–15 e-mail – r.makhviladze@mail.ru

№01-67/16 10 ოქტომბერი 2016 წელი

ქ. თბილისში ნუცუბიძის ქუჩაზე №139 საკადასტრო კოდით 01.14.02.024.019 ნაკვეთის მესაკუთრეს ბატონ ვარლამ ცეკვავას

თქვენთან მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გავეცანი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 სექტემბრის №2857406 ბრძანებას თქვენს კუთვნილ ნაკვეთზე 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ პროექტის შეთანხმების თაობაზე და თქვენი დაკვეთით მოვამზადე საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა განსახორციელებელი მშენებლობის შესაძლო უარყოფითი გავლენის თაობაზე მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების მდგრადობაზე.

დასკვნა წარმოდგენილია მომდევნო გვერდებზე. მის შედგენას საფუძვლად დაედო არქიტექტორ ნინო ხოსრუაშვილის მიერ გადმოცემული ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა, არქიტექტურულ-დაგეგმარებითი და კონსტრუქციული ნახაზები, ასევე შევისწავლე მშენებარე ობიექტის ქვეშა სამშენებლო მოედანი მიმდებარე ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობით.

საექსპერტო-ტექნიკურ დასკვნაში ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები მშენებლობის პერიოდში სამუშაოთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით წარმოების თაობაზე, რაც შესაბამისად ასახული უნდა იყოს კონსტრუქციულ და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტებში

დასკვნას აგრეთვე თან ერთვის ჩემზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ რევაზ მახვილაძეზე შრომითი, საინჟინრო, საპროექტო, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საექსპერტო მოღვაწეობაზე დოკუმენტაციის ნუსხა.

დირექტორი: რევაზ მახვილაძე

ი/მ "რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფქტი, დაპროექტება, ექსპერტიზა"

ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ. მე-6 კორპ. ბ.14

ტ. 593 25-19-71 232–88–15 e-mail – r.makhviladze@mail.ru

№01-67/16

10 ოქტომბერი 2016 წელი

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისში ნუცუბიძის ქუჩაზე №139 დაპროექტებული რვა სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესში შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შეფასება მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა მიმდინარე წლის 26 სექტემბერს ბრძანებით №2857406 შეითანხმა არქიტექტორ ნინო ხოსრუაშვილის მიერ აღნიშნულ მისამართზე შედგენილი რვა სართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით):

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1011.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 452.6
- საერთო ფართობი (კვ.მ).: 2388.3
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1098.3
- საოფისე ფართობი (კვ.მ).: 222.4
- კომერციული ფართობი (კვ.მ).: 237.1
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 331.6
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 219.5
- დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 32.0
- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 247.4
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8183.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5636.3
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2546.7
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 28.1
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 22.4
- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 5.7

მშენებლობით განსახორციელებელი საპროექტო-საცხოვრებელი სახლი სამეზობლო ეზოებში მდგომი შენობა-ნაგებობების მიმართ ცალკემდგომია. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმით 01.14.02.024.019 ნაკვეთის ფართობია 1011 მ², სიგანე 16,3 მეტრია, განთავსებულია ნუცუბიძისა და მხატვრის ქუჩების შორის, 54-65 მეტრის ფარგლებში, რელიეფი დახრილია ნიშნულებში მხატვრის ქუჩიდან 528 მეტრი ნუცუბიძის ქუჩისაკენ 510,9 მეტრი, სხვაობა საშუალოდ 17,1 მეტრია.

არქიტექტურული პროექტის მიხედვით ასაშენებელი 8 სართულიანი შენობის სიგანე 14,8 მეტრია, სიგრძეში მხატვრის ქუჩისაკენ 30,1 მეტრი, მათ შორის 1-4 ღერძებში ნუცუბიძის ქუჩაზე გამომავალი მაღლივი 8 სართულიანი შენობის სიგრძეა 6+4,6+5=16,6 მეტრი, მიდგმული ნაწილისა ღერძებში 4-6 ორსართულიანია კომერციული ფართის დანიშნულებით ნიშნულებში მინუს 5,7 და 2,65 მეტრი, მისი გადახურვა ზედა 0.00 ნიშნულზეა, რაც შეესაბამება მოსაწყობი ეზოს დონეს. მოშენების ფართობია 452,6 მ², საერთო ფართობი 2388,3 მ².

საცხოვრებელი სახლი "6" ღერძის მიმდებარედ მიწაშია ჩაღრმავებული ნუცუბიძის ქუჩის მხარეზე დახრით, "ა" და "დ" ღერძებზე მდგომი კედლებიც ნაწილობრივ მიწაშია ჩაღრმავებული. ნიშნული 0.00 შეესაბამება აბსოლიტურს 516.80 მეტრს, ნუცუბიძის ქუჩის მხარეზე ღია ეზოა და ტროტუარის კიდეზე მდგომი ღობე "1" ღერძიდან მოცილებულია 7,35 მეტრით. აღნიშნულ სივრცეში ეწყობა ეზო ქუჩიდან შესასვლელი ალაყაფის კარებით და ავტოსადგმით ორ მანქანაზე. ტროტუარის ნიშნული 510,88 მეტრია, რითაც გათვალისწინებულია ატმოსფერული წყლების გადმოყვანა წინა ეზოდან ტროტუარისაკენ ნიშნულიდან 511,1 მეტრი (პირობით მინუს 5,7 მეტრი) 510,88 მეტრისაკენ. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მაღლივი ნაწილის ძირა I სართულის კედლები სამეზობლო ნაკვეთებთან გრუნტში დარჩება ჩაჭედილი დახრილი ზოლით 516-დან 513 მეტრ ნიშნულამდე.

დაპროექტებული რვასართულიანი შენობის მიმდებარედ სამეზობლო ნაკვეთზე ს.კ. 01.14.02.024/002 (ნუცუბიძის ქუჩაზე №137) 1-3 ღერძის ფარგლებში მისგან 0.7 მეტრით მოცილებული 11 მეტრი სიგანის ორსართულიანი სახლია, საპროექტო შენობის სიახლოვეს მისი სიგრძე 15 მეტრია, ხოლო დახრილი რელიეფის გათვალისწინებით არსებული შენობის წინა ნაწილში 5 მეტრ სიღრმეში დამატებით სარდაფია მოწყობილი.

საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნაში აღნიშნული სახლის შესახებ შემდეგი ჩანაწერია: “ამ სახლის საძირკვლის ჩაღრმავება დაფუძნებულია ბეტონის ლენტური საძირკვლით ძლიერ გამოფიტულ ძირითად ქანზე და მშენებლობის პერიოდში საჭირო გახდება უსაფრთხოების ღონისძიებების დასახვა ხიმინჯოვან-შპუნტური გამაგრებით”.

იმავე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით ნაკვეთის ლითოლოგიური სვეტი აგებულია ტექნოგენური (სგე-1), დელუვიურ-თიხოვანი (სგე-2) და ძლიერ გამოფიტული (სგე-3) ძირითადი ქანებისგან, რეკომენდირებულია საძირკვლების ფუძე-გრუნტად სგე-4 ფენა – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანების გამოყენება, რომელიც წარმოდგენილია, არგილითებით (ნახევრადკლდოვანი გრუნტი) სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობით წყალნაჯერ მდგომარეობაში Rc=4,8მპა=48 კგძ/სმ^2 და ქვიშაქვებისაგან (საშუალო სიმტკიცის კლდოვანი გრუნტი) Rc=16,1მპა=161 კგძ/სმ^2.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ყველაზე ოპტიმალურად მიმაჩნია №137 ნაკვეთზე მდგომი შენობის გასწვრივ ქვაბულის ამოღების წინ შპუნტური კედლების მოწყობა. შენობის ლენტური საძირკვლის პირობითი ნიშნულებია წინა სარდაფიან ნაწილში 508 მეტრი, ზედა უსარდაფო ნაწილში ნიშნული 511 მეტრის ფარგლებშია. საპროექტო შენობის პირობითი ნიშნული მინუს 5,7 მეტრი ეთანადება აბსოლიტურს 511,10 მეტრი, საძირკვლების (ლენტურ-წერტილოვანი ან ფილოვანი) 2 მეტრით ჩაღრმავების პირობებში ქვაბულის დონე დაიწევს 509,1 მეტრამდე. არსებული შენობის, როგორც

სარდაფიანი, ასევე უსარდაფო ნაწილების ლენტური საძირკვლები რჩება ქვაბულის ძირის ზედა ნიშნულებზე. საჭიროა ფერდის დაჭერა შპუნტური კედლით ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან არსებული სახლის კედლის გასწვრივ ნიშნულებში 511,98 მეტრი აღმართის აყოლებით 514,71 მეტრი ნიშნულების დონემდე. ამ შემთხვევაში ჩამოშლისგან დაცული იქნება არსებული შენობის გრუნტთან შეხებაში მყოფი კედლები და ლენტური საძირკვლებიც ძირში გრუნტის გამოშრეცებისაგან.

ნუცუბიძის ქუჩიდან მარჯვენა მხარეზე №141-ზე, იხილეთ საკადასტრო ბლოკი 01.14.024.026, ქუჩის ტროტუარის პირას ეზოში შეწეული დახურული ავტოსადგომია ნიშნულზე 510.85 მეტრი. საპროექტო შენობის კიდე მისგან მოცილებულია 1 მეტრით. მიწის სამუშაოთა და საძირკვლების მოწყობის პერიოდში ა-1 ღერძების გადაკვეთაზე აღნიშნული ავტოსადგომის ჩამოქცევის საფრთხე არ არსებობს, მაგრამ მომავალში ნებისმიერი უარყოფითი ზეგავლენის გამოსარიცხად სასურველია კონსტრუქციულ ნახაზებში გათვალისწინებულ იქნეს ავტოსადგომის მიმდებარე კუთხის ჩამოქცევის საწინააღმდეგო გამაგრება, როგორც პრევენციული ღონისძიება“.

დასკვნა: 1. ქ. თბილისში ნუცუბიძის ქუჩაზე №139 დაპროექტებული რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის ქვეშ ქვაბულის ამოღების წინ აუცილებელ კონსტრუქციულ ღონისძიებად მიმაჩნია მიმდებარე ნაკვეთზე №137 მდგომი არსებული ორსართულიანი, წინა ნაწილში სარდაფის მქონე შენობის დაცვა ჩამოქცევისაგან შპუნტური კედლის მოწყობით, რითაც შესაძლებელი გახდება მისი მდგრადობის შენარჩუნება.

2. ასევე საჭიროა დაისახოს ჩამოქცევის საწინააღმდეგო ღონისძიებები მიმდებარე №141 ნაკვეთზე მდგომი ერთსართულიანი ავტოსადგომის კუთხეში საპროექტო შენობის ა-1 ღერძების გადაკვეთაზე.

3. ცხადია გამაგრებით სამუშაოები უნდა წარიმართოს სამშენებლო კანონმდებლობით დადგენილი შრომის, ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტრო, აგრეთვე ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით, რაც შესაბამის ასახვასაც საჭიროებს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში.

ექსპერტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, საქართველოს საინჟინრო
აკადემიის ნამდვილი წევრი
(აკადემიკოსი) რევაზ მახვილაძე

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	146941
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B10135839
ამონაწერის მომზადების თარიღი:	26/10/2010 11:26:18

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	რევაზი მახვილაძე
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის II მკრ. კვ.1 კ.6 ბ.14
ძველი საიდენტიფიკაციო კოდი:	105178469
საიდენტიფიკაციო კოდი:	01020001893
სამართლებრივი ფორმა:	ინდივიდუალური მეწარმე
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	16/10/2006
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო
ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი

GEORGIAN TECHNICAL
UVIVERSITY

FACULTY OF CIVI L
ENGINEERING

Phone: (995 32) 33 17 87
36 61 01; 36 65 42
Fax: (99532) 33 17 87

0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 68;
68, Kostava str., Tbilisi, Georgia, 075

№ 126
15 06 2016 წ.

ც ნ ო ბ ა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ მახვილაძე 1978 წლიდან მუშაობს სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის დეპარტამენტში, 1960 წლიდან ეწევა საპროექტო საქმიანობას, 1978 წლიდან ითვლება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მშენებლობის ხარისხისა და მონიტორინგის ექსპერტად, არის 11 სახელმძღვანელოს ავტორი უძრავი ქონების შეფასების, მშენებლობაში ფასწარმოქმნის, მშენებლობის ორგანიზაციისა და სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ხაზით, არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). თავისი მოვალეობის შესრულებას ეკიდება პასუხისმგებლობით, სამშენებლო საქმიანობაში ითვლება წამყვან ექსპერტად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს ბრძანების №11/823 „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის პროექტირების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ" ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, ასევე სპეციალობით ნამსახურევი 10 წლის სტაჟი, აგრეთვე საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციაზე საექსპერტო სამუშაოების შესრულების 5 წლის გამოცდილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტი ბატონი რევაზ მახვილაძე სრულად აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნული ბრძანების დანართ 1-ში ჩამოთვლილ მოთხოვნილებებს.

სამშენებლო ფაკულტეტის
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დავით გურგენიძე

საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი

GEORGIAN
TECHNICAL
UNIVERSITY

Phon: (995 32) 365093
Fax: (995 32) 942033
www.gtu.edu.ge
info@gtu.edu.ge

0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 77
77, Kostava str., Tbilisi, Georgia, 0175

„01" დეკემბერი 2006

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის რევაზ მახვილაძისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს ბრძანების №11/823 „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ" ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, ასევე სპეციალობით ნამსახურევი 10 წლის სტაჟი, აგრეთვე საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციაზე საექსპერტო სამუშაოების შესრულების 5 წლის გამოცდილება.

აღნიშნულ პირობებს სრულად აკმაყოფილებს სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრის გამგის მოადგილე სამეცნიერო დარგში პროფესორი რევაზ მახვილაძე დანართ №1-ში ჩამოთვლილი 1, 2 და 3 პუნქტების შესატყვისობით, სახელდობრ

- სამოქალაქო და საზოგადოებრივი შენობა ნაგებობები;
- სამრეწველო შენობა-ნაგებობები;
- სივრცითი ნაგებობები (ანძები, კოშკები, რეზერვუარები).

ბატონი რევაზ მახვილაძე საპროექტო ორგანიზაციებში კონსტრუქტორად მოღვაწეობს 1960 წლიდან, რაც კარგად ჩანს მისი ბიოგრაფიული მონაცემებიდან. ამჟამადაც არა მარტო საკონსტრუქტორო საქმიანობაში, არამედ მთლიანად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაშიც აქტიურადაა ჩაბმული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ მახვილაძე სამშენებლო ფაკულტეტზე მუშაობს 1978 წლიდან სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრის გამგის მოადგილედ.

1960-64 წლებში მუშაობდა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტებში საქშახტაპროექტსა და საქსახპროექტში. იყო ინჟინერ-კონსტრუქტორი, შემდეგ უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი და ჯგუფის ხელმძღვანელი. 1965-71 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში და შემდეგ მუშაობდა უმცროს მეცნიერ მუშაკად ქ. მოსკოვის საბინაო-კომუნალური მეურნეობის აკადემიაში. იქვე 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამშენებლო კონსტრუქციებში.

1972-77 წლებში იმუშავა საქართველოს ტერიტორიალურ საპროექტო ინსტიტუტ საქსახპროექტში ტექნიკური განყოფილების უფროსად, 1977-78 წლებში საპროექტო ინსტიტუტ საქკომუნმშენპროექტში არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილების გამგედ, 1978 წლის სექტემბრიდან დღემდე მოღვაწეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1978-90 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ საექსპერტო სამმართველოსთან და საქართველოს მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ საექსპერტო სამმართველოსთან, ითვლებოდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტად, ხელმძღვანელობდა საექსპერტო ჯგუფს. ასევე 1998-2005 წლებში ჩაბმული იყო საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს პროექტების ექსპერტიზის სამმართველოს საქმიანობაში.

ბატონი რეზოს მახვილაძე არის 96 სამეცნიერო შრომისა და 6 სახელმძღვანელოს ავტორი სამშენებლო პრობლემატიკის საკითხებზე.

გარდა ჰუმანიტარულ-სამეცნიერო მოღვაწეობისა 1960 წლიდან დაწყებული აქტიურადაა ჩაბმული საინჟინრო-საპროექტო საქმიანობაში. მრავალმხრივია მისი საქმიანობის სფეროც: არის კონსტრუქტორიც, სარჯთაღმრიცხველიც და მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სპეციალისტიც. მას კარგად იცნობს საინჟინრო საზოგადოება და ჯეროვნად აფასებს მის ცოდნას და გამოცდილებას.

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ბატონ რეზოს პირადად შესრულებული აქვს ათობით საპროექტო დოკუმენტაცია, ასევე როგორც პროექტის მთავარი ინჟინერი ხელმძღვანელია მრავალი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა როგორც სამრეწველო, ასევე სამოქალაქო ობიექტების სახით 1960 წლიდან ვიდრე დღემდე. ბოლნისის რაიონის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატიდან დაწყებული და დამთავრებული ამჟამად დაპროექტებაში მყოფი ქ. თბილისში ქალის ქუჩაზე საოფისე შენობით, რომელიც მიწის ზედით 10 სართულიანი და მიწაში ჩადრმავებული 4 სართულით.

ასევე, როგორც მოქალაქეს და სპეციალისტს, ყოველთვის გულთან ახლოს მიაქვს ქვეყნის გასაჭირი ფორსმაჟორულ სიტუაციაში. იყო მიწისძვრებიდან დაზიანებული შენობა-ნაგებობების აღდგენითი სამუშაოების აქტიური მონაწილე, შემსრულებელი და ხელმძღვანელი ტაშკენტში 1966-67 წლებში, პეტროპავლოვსკი კამჩატკაზე 1971-1972 წლებში, რაჭა-იმერეთში 1991-92 წლებში და თბილისში 2002 წელს.

ტერიტორიალურ საპროექტო ინსტიტუტ საქსახპროექტში და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში მისი ხელმძღვანელობით შედგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების რამდენიმე კრებული.

ბატონი რევაზ მახვილაძე ითვლება უაღრესად მცოდნე და ერუდირებულ სპეციალისტად სამშენებლო დარგში, მას ხშირად იწვევენ სამშენებლო-საპროექტო ფირმები როგორც საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად, ასევე მშენებლობაზე სამშენებლო-ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად.

ამავე დროს პროფესორი რევაზ მახვილაძე არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სამშენებლო ფაკულტეტის კოლექტივიც ხშირად სარგებლობს მისი სამსახურით.

ზემოთ აღნიშნული უფლებას გვაძლევს რეკომენდაცია გაეუწიოთ პროფესორ რევაზ მახვილაძეს მისთვის აქსპერტის მაღალი და საპატიო უფლების მინიჭებაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი /ზურაბ გელენიძე/



№ Б 0444032

Трудовая книжка

Фамилия Махнина

Имя Нина

Отчество Александровна

Год рождения 1937

Образование: начальное, среднее, высшее
(подчеркнуть)

Профессия Инженер-строитель

Подпись владельца Трудовой книжки

Дата заполнения Трудовой книжки

12 апреля 1966 г.

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата: год	Дата: месяц	Дата: число	Сведения о приеме на работу и увольнении	Сведения о работе, перемещениях по работе (с указанием причин)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
1	2				3	4
				До поступления в Госстрой Эстонской ССР в 1955 г. и за 1960 год работал инженером технического отдела Института Гражданпроект		
1	1960	VII	22	Зачислена в отдел труда и заработной платы	Переведена старшим инженером	Приказ №19 от 30/VII
2	1962	I	1	Назначена начальником отдела		Приказ №22/к-б от 22/I-62 г.
3	1964	I	1	Освобождена от занимаемой должности в связи с переходом в Совет Министров Эстонской ССР		Приказ №718 от 18/XI-63 г. и №156/к от 22/XI-63 г.
				Группа инвалидности III		
				30.12.2003		

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата			Сведения о приеме на работу и увольнении	Сведения о работе, перемещениях по (с указанием причин)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
				2	3	4
4	1964	I	1	Назначается	ст. инж. конструк.	пр. №18 от 11-I-1964
5	1965	IX	1	Переведен на	должность гру-	пр. 151
6	1965	XII	13	Освобожден от	Отдела №2	от 10/IX-65
				с работой	работы в связи	Прик. 212
					ей в аспиран-	от 6/XII-65
					ко корпуса	
					/Тбилиси/	

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата			Сведения о приеме на работу и увольнении	Сведения о работе, перемещениях по (с указанием причин)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
				2	3	4
7	1969	XII	13	Зачислен в аспиранту-	ру Академии	Пр. 157 от
				ей специальности „Городской		27. XI-1969
				строительство"		
8	1970	01	01	Отчислен из аспирантуры АКХ		Пр. 136
				в связи с окончанием срока обучения		от 12/XI-69г.
				Зав. аспирантурой [illegible]		Зедгенидзе
				Академия коммунального хозяйства		
9	1970	01	01	В связи с окончанием срока аспи-		Пр 6/к
				рантуры и на основании решения		от
				заседания ц.о. ин. кафедр сектора		19/I-1970.
				стр-ва транспорта и дорог		

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата: Год	Дата: Месяц	Дата: Число	Сведения о приеме на работу и увольнении, переводах, перемещениях по работе (с указанием причины)	На основании которых сделана запись (документ, его дата и номер)
1	2			3	4
10	1971	05	17	Освобождена от занимаемой должности в связи с уходом в декретный отпуск по беременности и родам	Пр 301 л/с от 13/V
11	1971	7	5	Зачислена на должность главного инженера проектного отдела	пр 562 л/с от 25/V-1
12	1972	III	1	Освобождена от занимаемой должности в связи с переводом в ГПИ «Грузгипроводхоз»	Пр 822 л/с от 25/II-1
13	1972	03	1	Зачислена на работу в порядке перевода из ГПИ «Грузгипроводхоз» на должность начальника технического отдела	Пр. № 30 от 1.03.72
14	1974	02	01	Освобождена от занимаемой должности в связи с переходом на пенсию по ст. 29 п. б Кодекса о пенсиях и пособиях	Прик. 13 от 24.01.

Главный инженер проектного института [illegible]

Гегешидзе В.К.

СВЕДЕНИЯ О ПООЩРЕНИЯХ И НАГРАЖДЕНИЯХ

№ записи	Дата: Год	Дата: Месяц	Дата: Число	Поощрения и награждения	На основании которых сделана запись (документ, его дата и номер)
1	2			3	4

СВЕДЕНИЯ О ~~ПООЩРЕНИЯХ~~ работе

1	2			3	4
				Гос. проектный институт	
				„Грузгипрокоммунстрой" МЖКХ ГССР	
15	1977	02	1	Зачислен на должность начальника архитектурно-строительного отдела	пр. 12 от 3/II-77 г.
16	1978	09	25	Освобожден от занимаемой должности в связи с переводом в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина	пр. № 81 от 25.IX.78 г.
				Р. Кор[illegible]	

ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი: წელი	თვე	რიცხვი	ცნობები სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის ერთი ადგილიდან მეორეზე შესახებ (მიზეზების აღნიშვნით)	რის საფუძველზე შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
1	2			3	4
				ГПИ им В.И. Ленина	
17.	1978	09	13	Зачислен на должность доцента каф. механиз. и организ. строит. произв.	пр. 1303/03 от 28/IX 78
	2003	09	01	გადაყვანილია პროფესორის თანამდებობაზე იმავე კათედრაზე	ბრძ. 478/03 2003

ცნობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) რევაზ მახვილაძის 2011-2013 წლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე შესრულებულ საექსპერტო დასკვნებზე შენობების მდგრადობაზე და დემონტაჟზე

საპროექტო საქმიანობას ეწევა 1960 წლიდან დღემდე
საექსპერტო სამუშაოების ჩასატარებლად იწვევენ 1978 წლიდან

N	დამკვეთი	წელი	ობიექტის დასახელება
1	ამხანაგობა „რადიანი-10ა"	06.01.2011	ქ. თბილისში რადიანის ქუჩაზე №10ა მრავალსართულიანი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაზე
2	შპს "კნაუფგიფს თბილისი	15.04.2011	თბილისში ქიზიყის და ენუქიძის ქუჩაზე არსებული საწარმო კომპლექსის დაშლა-დემონტაჟზე
3	შპს "ფუდსერვისი"	25.05.2011	თბილისში, დიდ ლილოში ფუდსერვისის გადამამუშავებელი საამქროსა და შემნახველი საცავის საპროექტო დოკუმენტაციაზე
4	შპს "დიზაინ-დ"	24.05.2011	ქ. ზუგდიდში ზუბულავას ქუჩაზე წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციაზე
5	შპს "ელიტა ბურჯი"	24.06.2011	თბილისში ხმელნიცკის ქუჩაზე 42 ლითონ-კონსტრუქციების დამამზადებელი საამქროს საპროექტო დოკუმენტაციაზე
6	შპს "გლდანი-11"	01.03.2011	თბილისში გლდანის I და II მ/რ შორის სავაჭრო ცენტრის კონსტრუქციულ მდგრადობაზე
7	შპს "ძველი თბილისი"	16.08.2011	თბილისში შავი ზღვის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის C ბლოკის კორექტირებულ პროექტზე
8	ფ/პ ვასილ სოხაძე	25.07.2011	თბილისში ნ. რამიშვილის ქუჩაზე 22 არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მანსარდის დაშენებაზე და აივნების მოწყობაზე
9	შპს "კნაუფგიფს თბილისი	25.08.2011	თბილისში ქიზიყის ქუჩაზე 17 თაბაშირ მუყაოს ფილების წარმოების მასალებისა და ნედლეულის საწყობის საპროექტო დოკუმენტაციაზე
10	შპს "აქსისი"	29.09.2011	ქ. თბილისში საბურთალოს ქუჩაზე 32 მშენებარე IV, V, VI, VII, VIII ბლოკების კორექტირებული პროექტების თაობაზე
11	შპს "დეკორი"	11.11.2011	ქ. თბილისში ბელიაშვილის ქუჩაზე სავაჭრო-საგამოფენო პავილიონის საპროექტო დოკუმენტაციაზე
12	შპს "ტრანსსერვისი-XXI"	31.10.2011	თბილისში სოლოლაკის ხეივანში მდებარე არსებული შენობის რეკონსტრუქცია-მიშენების საპროექტო დოკუმენტაციაზე
13	შპს "GOLD KREDITI"	18.11.2011	თბილისში დ. აღმაშენებლის გამზირზე 171 საოფისე შენობის რეკონსტრუქციაზე

14	შპს "ქართუ შენსტრუქტი"	27.12.2011	თბილისში კოკორის გზატკეცილი 13 მშენებარე მრავალფუნქციური გასართობ–სამაყურებლო ცენტრის კორექტირებულ პროექტზე
15	შპს "ელიტა ბურჯი"	05.01.2012	თბილისში ბ. ხმელნიცკის ქუჩაზე 42 ლიტონდამდებელი საამქროს კორექტირებულ პროექტზე
16	შპს "ქართუ ჯგუფი"	10.02.2012	თბილისში კოკორის გზატკეცილი 13 მდებარე არსებული შენობის რეკონსტრუქციაზე სასტუმროდ
17	შპს "შველი უბანი"	10.02.2012	თბილისში ერეკლე მე–2–ის მოედანზე და ფალავანდიშვილის ქუჩის კუთხეში მდებარე შენობის მდგრადობის საექსპერტო შეფასება
18	შპს "დიზაინ–დ"	10.02.2012	ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კომპანიის დასახლებაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე
19	შპს "შეგასი"	10.05.2012	ქ. ამბროლაურის მარატისლავა–რიჩის ქუჩაზე საცურაო აუზი საპროექტო დოკუმენტაციაზე
20	შპს "დიზაინ–ლ"	25.05.2012	ქ. ზუგდიდში ზ. გამსახურდიას გამზირზე №23 საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციაზე
21	შპს "SADS GROUP"	04.08.2012	ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე
22	სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი	27.0.2012	ტყიბულში სპორტის სასახლის დასაშლელ სამუშაოებზე საექსპერტო დასკვნა
23	სს "პეტროტრანსგაზი"	14.12.2012	ლრმამდელის სტრატეგ. სადგურის თბილისის ზღვის პირველი ამუშავის სატუმბო სადგურიდან III მიმღებ კაპერამდე შეწნევი მილების გაწერების სამუშაოთა
24	შპს "ლუკს–დეველოპმენტი"	05.01.2013	თბილისში ცალკამშვილის ქუჩაზე 23 არსებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის დაშლაზე
25	შპს "NGS GROUP"	18.01.2013	თბილისში ამაღლების ქუჩაზე 47 მდებარე მშენებარე მრავალსართულიანი შენობის დემონტაჟზე
26	იმ გენრის კარხანიე	15.06.2013	ყვარლის მუნიციპალიტეტის მდ. ბურსის ნაპირსამაგრ და სოფელ მაქრიანის სავტომობილო გზის რეკონსტრუქციაზე
27	იმ გენრის კარხანიე	17.06.2013	ყვარლის რაიონის სოფლების წიწკანაანისური, ახალსოფელა, საბუე, ბალდოყიანი, გრემი, ალმათი, ენისყალა–წყალსადენის ქსელების რეაბილიტაციაზე
28	შპს "ბიზნეს ჯგუფი"	12.10.2013	სარეკლამო ბანერის და ფირმა 2–ზე საექსპერტო–ტექნიკური დასკვნის მომზადება
29	შპს. "ბიზნეს ჯგუფი"	30.11.2013	ბარეკლამო ბანერის და ფირმა 2–ზე საექსპერტო–ტექნიკური დასკვნის მომზადება

ექსპერტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი



რევაზ მახვილაძე

20 ნოემბერი 2013 წელი

დასკვნა

ქ.თბილისში ნუცუბიძის ქ. #139-ში (ს.კ 01.14.02.024.019) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებულ შენობა-ნაგებობების მდგრადობაზე გავლენის შესახებ.

კონსტრუქტორი:  ზ. ყველაშვილი

თბილისი 2016წ.

დასკვნა

ქ.თბილისში ნუცუბიძის ქ. #139-ში (ს.კ 01.14.02.024.019) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებულ შენობა-ნაგებობების მდგრადობაზე გავლენის შესახებ.

ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის #139-ში. (საკადასტრო კოდი № 01.14.02.024.019)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია 8 სართულიანი შენობის აშენება, რომელსაც შიგნითა ეზოს მხრიდან გააჩნია 2 სართულიანი მიწისქვეშა ნაგებობა ავტოფარეხებისათვის. (იხ. ფიგ. 1)



ფიგ.1

ასაშენებელი საცხოვრებელი შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემის მონოლითური რკინაბეტონის მზიდი ელემენტებით;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და დასკვნების მიხედვით სამშენებლო მოედანი განლაგებულია **8 ბალიანი** სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით **(A=0.17);**

სამშენებლო უბანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - **85 კგძ/მ²** (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - **50 კგძ/მ²** (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მიხედვით, ვინაიდან სამშენებლო უბანზე გავრცელებულია კლდოვანი ქანები, შენობის დაფუძნება განხორციელდება ნაკლებად გამოფიტულ ძირითად ქანზე (ფენა 4) ლენტური (შესაძლებელია წერტილოვანი) საძირკვლების გამოყენებით.

ასაშენებელ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს სამხრეთის მხრიდან 7.8 მ-ის მანძილზე ესაზღვრება ნუცუბიძის ქუჩა; აღმოსავლეთის მხრიდან მიჯრით ესაზღვრება 2 სართულიანი შენობა და გამყოფი ღობე (იხ. სურ. 1), ხოლო დასავლეთის მხრიდან კი-მიჯრით ესაზღვრება ავტოფარეხი, გამყოფი ღობე და 4.5მ და 6,5 მ-ის მანძილზე 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლები (იხ. სურ. 2). ჩრდილოეთის მხრიდან საპროექტო შენობას გააჩნია შიგნითა ეზო (იხ. სურ. 3).



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

ამ ეტაპზე სამშენებლო მოედანზე დასრულებულია არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, რომლებიც სამეზობლო ეზოებში არსებული შენობა-ნაგებობებისაგან ცალკე მდგომ შენობას წარმოადგენდა. განხორციელებული დემონტაჟი საფრთხეს არ უქმნის მდგრადობის თვალსაზრისით მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს.



საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და დასკვნების მიხედვით მითითებულია, რომ აღმოსავლეთის მხრიდან მომიჯნავე 2 სართულიანი შენობა დაფუძნებულია ძლიერ გამოფიტულ ძირითად ქანზე ბეტონის ლენტური საძირკვლების გამოყენებით.

ვინაიდან საპროექტო შენობის განთავსება ხდება დახრილ რელიეფზე და საპროექტო შენობის საძირკვლების ჩაღრმავება სცდება მოსაზღვრე შონობა-ნაგებობების საძირკვლების დონეს, ქვაბულის მოწყობისას საკადასტრო საზღვრებში საჭირო იქნება მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების გასწვრივ გამყოფი ხიმინჯების ,,ფარდის,, მოწყობა (ჭრილი 1-1; იხ. ფიგ.2). რაც შეეხება შიგნითა ეზოს მხრიდან 2 სართულიანი მიწისქვეშა ნაგებობის მოწყობას, ვინაიდან კლდოვანი ქანის შრეები დახრილია ნუცუბიძის ქუჩისკენ, საჭირო იქნება ქვაბულის ჩამოჭრამდე წნევით ინექცირებული წვრილი ხიმინჯების მოწყობა ან ალტერნატიულ ვარიანტად შეიძლება განხორციელდეს ქვაბულის ეტაპობრივი (სექციებად) დამუშავება მზიდი რკინაბეტონის კედლების მოწყობით.

ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან შესაძლებელია ქვაბულის კედლებს მიეცეს ,,ბუნებრივი დახრა,,

აღმოსავლეთის მხარეს საკადასტრო საზღვრების ფარგლებში საჭირო იქნება სამეზობლო ღობის გასწვრივ გამყოფი ფარდის მოწყობა (ჭრილი 2-2; იხ. ფიგ.3).



ფიგ.3

მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემდგომ საბოლოო (დეტალური) გადაწყვეტები ქვაბულის მოწყობასთან და ზოგადად შენობის დაფუძნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება დასრულებულ კონსტრუქციულ მუშა ნახაზებში.

ასევე, ვინაიდან საპროექტო ნაკვეთთან დასავლეთით მდებაზე ავროფარეხის ჩამონგრევის საფრთხე არ არსებობს, მაგრამ მოსალოდნელია, კონსტრუქციულ ნახაზებში გათვალისწინებული იქნება, საჭიროების შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული ავტოფარეხის კუთხის გამაგრებითი სამუშაოებიც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საპროექტო შენობა და ზოგადად ქვაბულის დამუშავებისას მიღებული გადაწყვეტები საფრთხეს არ შეუქმნის მდგრადობის თვალსაზრისით მოსაზღვრე ქუჩებს და შენობა-ნაგებობებს სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

კონსტრუქტორები: თ. მაცაბერიძე

ზ. ყველაშვილი

15.09.2016წ.

ქვაბულის გამაგრების სქემა

გასატარებელი ღონისძიებები:

1. საკადასტრო საზღვრებში აღმოსავლეთის მხრიდან ქვაბულის მოწყობა: მოსაზღვრე შენობა-ნაგებობისა და სამეზობლო ღობის გასწვრივ გამყოფი ფარდის მოწყობა ეტაპობრივად (ჭრილი 1-1; ჭრილი 2-2)

2. უკანა ეზოს მხარეს ქვაბულის კედლების მოწყობა, რომელიც ხორციელდება ეტაპობრივად, ლითონის ორტესებრი კოჭების გრუნტში ჩარჭობა-ჩაანკერებით და მათ უკან შეფიცვრის ეტაპობრივად შეცურებით.







ფრაგმენტი 33	თბილისი 2016

შენალიანება

არქიტექტურული ანომალიები

შენიშვნები

+0.00=516.80

დამკვეთი : შ.შენკოვა

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ნუცუბიძის ქ. 139-ში

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
არქიტექტორი	ნ.ხოსრავიანი	
ავტორი	ნ.ხოსრავიანი	
კონსტრუქტორი	თ. ჯაფარიძე	
	ზ.ჯველაძე	
სტადია	პროექტი	მასშტ. 1:200
ქვაბულის გამაგრების სქემა	შ-ქემი	შ-ლი



ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახური

KA010119116988415

№25/79148

15 / დეკემბერი / 2015 წ.

მოქალაქე თინა კაკაურიძეს
ორთაჭალა, 1 ხეივნის N8 პ/ნ 01017042317

თქვენი 02.12.2015 წლის #98742/12 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ნუცუბიძის ქუჩა #139-ში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრას, სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ წარმოდგენილი განცხადება და განმეორებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვა #2282149 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების და ააიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის"ს საექსპერტო დასკვნის თანახმად სამსახური თანახმაა მოიჭრას 1 (ერთი) ძირი თუთა დიამეტრით 39.8სმ და 1 (ერთი) ძირი ხმობაში შესული კაკალი (ხნოვანება 23 წელი), რომელთა აღდგენითი ღირებულება შეადგენს 1790 (ათასშვიდასოთხმოცდაათი) ლარს. გაცნობებთ, რომ მეპატრონე ვალდებულია გადაიხადოს ხის აღდგენითი ღირებულება ამავე კანონის მე-2 თავის მე-5 მუხლის შესაბამისად და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა მოჭრის შესაბამისი ნებართვა.

ასევე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილების მე-3 თავის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამსახური თანახმაა აღდგენითი ღირებულების გადახდის გარეშე მოიჭრას ერთი ძირი ზეხმელი კაკლის ხე.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი — ნინო სულხანიშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახური

KA010187438500216

№25/38705

22 / თებერვალი / **2016** წ.

მოქალაქე თინა კაკაურიძეს
მის:ორთაჭალა, 1 ხეივნის N8 ა/ნ 01017042317

თქვენი 16.02.2016 წლის #52325/12 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების და ააიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის"ს საექსპერტო დასკვნის შესაბამისად სამსახური თანახმაა ნუცუბიძის ქუჩა #139-ში მოიჭრას 1 (ერთი) ძირი თუთა დიამეტრით 39.8სმ, 1 (ერთი) ძირი ხმობაში შესული კაკალი (ხნოვანება 23 წელი) და 1 (ერთი) ძირი ზეხმელი კაკალი (სნოვანება 23 წელი).

მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს (ტელ: 595 30 40 34).

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი ნინო სულხანიშვილი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 2501504

გაცემის თარიღი: 24/03/2016 გაცნობის თარიღი: 25/03/2016

განცხადების ნომერი: AR1387160

შემოსვლის თარიღი: 17/03/2016

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.02.024.019
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 139
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1011.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): ვარლამ ცეკვავა (P/N: 01805046066)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ვარლამ ცეკვავა პ/ნ 01805046066
- მისამართი: თბილისი მცხეთის გას. N 13

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 25.07.2013 წ. №795710 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქ. ვარლამ ცეკვავამ 17.03.2016 წ. №AR1387160 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 25.07.2013 წ. №795710 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის კორექტირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 25.07.2013 წ. №795710 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №139-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.024.019, ფართობი 1011 კ.მ.) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის ნომერი №882016011488, მომზადების თარიღი: 13.01.2016, საკადასტრო კოდი: №01.14.02.024.019, ფართობით: 1011 კვ.მ.) საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში და შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას სამსახურის 25.07.2013 წ. №795710 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 25.07.2013 წ. №795710 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის კორექტირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 25.07.2013 წ. №795710 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ძველი საკადასტრო გეგმა შეიცვალოს ახალი საკადასტრო გეგმით საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი №882016011488, მომზადების თარიღი: 13.01.2016, საკადასტრო კოდი: №01.14.02.024.019, ფართობით: 1011 კვ.მ.);

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის

სამსახურის 25.07.2013 წ. №795710 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.